თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ბრძანება

02 მარტი 2020 წ. თბილისი № 37/01

ახალ კორონავირუსთან (COVID – 19) დაკავშირებით, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 75-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის N.296 ბრძანების და სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე–14 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად, შეიქმნას საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირაკლი კოხრეიძე, ვიცე-რექტორი - ჯგუფის ხელმძღვანელი;
ბ) ირინა კაპეტივაძე - რექტორის აპარატის უფროსი;
გ) ალექსანდრე ბუაჩიძე - კანცლერის მოადგილე;
დ) თინათინ გაბრიჭიძე - თსსუ-ის გარემოსდაცვითი მმართველი;
ე) გიორგი ჭიჭინაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
ვ) მიხეილ დიაკონიძე - სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
ზ) ზურაბ ტატიშვილი - კლინიკებთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი;
თ) ირაკლი მჭედლიშვილი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2. წინამდებარე ბრძანებით შექმნილ საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფს დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიმდინარე წლის 27 თებერვლის ბრძანება N. 296 – ით დამტკიცებული „ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესით" გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში.

3. დაევალოს თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს (გ. ჭიჭინაძე), ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის სამედიცინო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება და ახალი კორონავირუსის გავრცელების

წინააღმდეგ მიმართული, პრევენციული ხასიათის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.

4. დაევალოს თსსუ-ის ეკონომიკურ დეპარტამენტის უფროსს (ნ. მარიამიძე), ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, დამატებითი რაოდენობის სადეზინფექციო და სხვა საჭირო საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება.

5. დაევალოს რექტორის აპარატის უფროსს (ი. კაპეტივაძე), მიაწოდოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია, ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს თსსუ – ის ვიცე-რექტორს კლინიკური საქმიანობის მიმართულებით, ირაკლი კოხრეიძეს.

8. ბრძანება დაეგზავნოს: თსსუ – ის რექტორს, კანცლერს, ვიცე-რექტორებს, რექტორის აპარატის უფროსს, კანცლერის მოადგილეებს, თსსუ – ის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი